

2021



დემოკრატიის
კვლევის
ინსტიტუტი

გადაადგილებისთვის საჭირო
დოკუმენტების საკითხი
გალის რეგიონში



სარჩევი

შესავალი	3
ბინადრობის მოწმობის საკითხი	3
აფხაზეთის დე ფაქტო მოქალაქეობის საკითხი	4
ე.წ. „სამურზაყანოელი აფხაზების“ საკითხი.....	5
ეთნიკური ქართველი მოსახლეობის აფხაზეთიდან შესაძლო გასახლების შესახებ.....	6
აფხაზური დე ფაქტო უწყებების მიერ გალის მოსახლეობის გადაადგილების დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა	7
საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაცია გალის მოსახლეობის გადაადგილების დოკუმენტებთან დაკავშირებულ საკითხზე.....	9
დოკუმენტების მიღებასთან დაკავშირებული კორუფცია	10
შეჯამება	10

შესავალი

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აფხაზეთის ტერიტორიაზე ფაქტობრივ კონტროლს ვერ ახორციელებს. ოკუპირებულ რეგიონში არსებულ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად საყურადღებოა მოსახლეობისთვის შექმნილი დაბრკოლებები და ფაქტო სტრუქტურების მხრიდან. პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას გალის რაიონში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკური ქართველები შეადგენენ. იმ ადამიანებს, რომლებმაც კონფლიქტის მიუხედავად საკუთარი სახლები არ დატოვეს, და ფაქტო უწყებები სხვადასხვა ბარიერებს უქმნიან, რაც მათ ყოველდღიურ ყოფას ართულებს და ბაზისურ ადამიანურ საჭიროებებსა და უფლებებზე წვდომას უზღუდავს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის წინაშეც დგას გალის მოსახლეობა, არის გალის რაიონის მოსახლეობისთვის ე.წ. დოკუმენტების შემოღების საკითხი და ფაქტო სტრუქტურების მხრიდან.

ბინადრობის მოწმობის საკითხი

2017 წლიდან და ფაქტო ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება ძველი აფხაზური პასპორტების ხმარებიდან ამოღებისა და ფორმა №9-ის ბინადრობის მოწმობით ჩანაცვლების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მოქალაქეობა ან და ფაქტო ორგანოების გაცემული პასპორტები არ წარმოადგენს საქართველოს ან საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ სამართლებრივ დოკუმენტს, მათი ფლობა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის ადამიანის ბაზისური უფლებებით სარგებლობას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ გალის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მიუღებელია ბინადრობის მოწმობის აღება, ვინაიდან ეს მოწმობა მათ უცხოელის სტატუსს ანიჭებს. ბინადრობის მოწმობას მკაცრი კრიტერიუმები და მოქმედების 5-წლიანი ვადა აქვს, რაც გალელებზე დამატებით ზეწოლის მექანიზმად შეიძლება იქნეს გამოყენებული. ასევე, ეს დოკუმენტი მის მფლობელს არ ანიჭებს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას. თუმცა გალელებისათვის ბინადრობის მოწმობა ძირითადად მაინც გამყოფი ხაზის გასწვრივ გადაადგილების საშუალებას წარმოადგენს და, შესაბამისად, ადგილობრივი მცხოვრებლები იძულებულნი არიან, აიღონ ეს დოკუმენტი.

ბინადრობის მოწმობის აღება განსაკუთრებით პრობლემურია კოდორის ხეობაში მცხოვრებ პირთათვის. მათ გადაადგილება მხოლოდ სპეციალური საშვით შეუძლიათ, რომელსაც ადგილზე გასცემს და ფაქტო უსაფრთხოების სამსახური 2 კვირის ვადით.¹

¹ საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>

აფხაზეთის დე ფაქტო მოქალაქეობის საკითხი

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კანონის თანახმად, აფხაზეთის მოქალაქის პასპორტის მფლობელი შესაძლოა იყოს მხოლოდ ეთნიკური აფხაზი, ასევე პირი, რომელიც არ არის ეთნიკური აფხაზი, მაგრამ აფხაზეთში 1994 წლიდან 1999 წლამდე ცხოვრობდა და არ არის სხვა რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა რუსეთის ფედერაციისა.

ეს დებულება არ ვრცელდება გალის რაიონში ომამდე მცხოვრებ 80 000-მდე მოსახლეობის ნახევარსა და აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებში მცხოვრებ 200 000-მდე ეთნიკურ ქართველზე, რომლებმაც 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დატოვეს აფხაზეთის ტერიტორია.

იმდროინდელმა დე ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრმა ასლან კობახიამ, რომელიც პასპორტიზაციის პროცესს კურირებდა, 2017 წლის 21 აპრილს გამართულ საჯარო შეხვედრაზე ადგილობრივი მოსახლეობა გააფრთხილა, რომ ის ეთნიკური ქართველები, რომლებიც აფხაზეთის მოქალაქეობის აღებას შეეცდებიან (ბინადრობის ნებართვის ნაცვლად) და იმავდროულად, საქართველოს მოქალაქეობას შეინარჩუნებენ „სამუდამოდ დაკარგავენ აფხაზეთს“.²

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ რეგიონის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობისთვის აფხაზური პასპორტების გაცემა 2013 წელს შეაჩერა იმ მიზეზით, რომ ამ პროცესს, როგორც აფხაზეთის ზოგიერთი თანამდებობის პირი აცხადებდა, შესაძლოა, „აფხაზეთის გაქართველება“ მოჰყოლოდა. 2014 წელს, 24 აგვისტოს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ამომრჩეველთა სიებიდან ამოიღეს გალის რაიონის თითქმის 23 000 მკვიდრი. შედეგად, 2017 წლის 12 მარტს აფხაზეთში გამართული საპარლამენტო არჩევნებისთვის გალის რაიონში მხოლოდ 603 ამომრჩეველი დარეგისტრირდა. შედეგად, აფხაზეთის ხელისუფლებამ გალში ადგილობრივი საკრებულოს არჩევნებიც ვერ ჩაატარა, რომელიც დანარჩენ აფხაზეთში 2016 წელს გაიმართა. დე ფაქტო აფხაზეთის წინა მოწვევის პარლამენტს მოუხდა სპეციალური გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც გალის რაიონის 2011 წლის თებერვალში არჩეულ საკრებულოს უფლებამოსილების ვადა გაუხანგრძლივდა.³

² Civil Georgia, 2017, „სოხუმმა ეთნიკური ქართველებისთვის ბინადრობის მოწმობების გაცემა დაიწყო“. ხელმისაწვდომია: <https://old.civil.ge/geo/article.php?id=31225&search=>

³ ibid

ე.წ. „სამურზაყანოელი აფხაზების“ საკითხი

2017 წლის ივლისში ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ ისინი მინიჭებდნენ მოქალაქეობას იმ ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც დარეგისტრირდებოდნენ როგორც აფხაზები და გვარს აფხაზური გვართ შეიცვლიდნენ. ეს ნაბიჯი იმ აფხაზური ნარატივის ნაწილია, რომლის მიხედვითაც გალის მცხოვრებთა ნაწილი ეთნიკური აფხაზია, ვინც წლების განმავლობაში „გაქართველება“ განიცადა და „აფხაზური ფესვები“ დაივიწყა.⁴

ბოლო პერიოდში გალის მოსახლეობის გადაადგილებისთვის საჭირო დოკუმენტების საკითხი განსაკუთრებით გააქტიურდა. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის (DRI) ინფორმაციით, მიმდინარე წლის ივლისში აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის ნაწილი ვიზიტით იმყოფებოდა გალის რაიონში. გალში ჩავიდნენ დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალხას კვიცინია, პირველი ვიცე-პრემიერი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ბესლან ჯოპუა, ვიცე-პრემიერი, ეკონომიკის მინისტრი ქრისტინა ოზგანი, გადასახადების მინისტრი ჯანსუხ ნანბა. შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ აფხაზეთში საოკუპაციო სასახლვრო ჯარების მეთაური ვლადიმირ მოლოდცოვი, დე ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გალის რაიონში კონსტანტინე ფილია, სოფლის გამგებლები და გალის დე ფაქტო მილიციისა და უშიშროების ხელმძღვანელები, აგრეთვე ქალაქის მცხოვრებლები, რომლებიც მუშაობენ კულტურის სახლში, საავადმყოფოსა და სკოლებში.

ვიზიტით მყოფმა დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლებმა აქტიურად წამოაყენეს ე.წ. „სამურზაყანოელი აფხაზების“ საკითხი. მათ მოსახლეობას მოუწოდეს, რომ აღიდგინონ, მათი თქმით, „ნამდვილი წარმომავლობა“, რის შემდეგაც მიეცემათ ჯერ აფხაზური პასპორტები, შემდეგ კი მათ რუსული პასპორტის აღებაშიც შეუწყობენ ხელს. რუსული პასპორტის მიღებაში დახმარების შეთავაზება განსაკუთრებით მომხიბვლელად ჟღერს, ვინაიდან რუსული პასპორტის მქონე პირები იღებენ რიგ პრივილეგიებს, როგორცაა (რუსეთის ტერიტორიაზე) გადაადგილების თავისუფლება და რუსული პენსია.

თუმცა, 2020 წლის დეკემბერში გავრცელებული ინფორმაციით, გალის რაიონის ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა კონსტანტინე ფილიამ განაცხადა რომ ე.წ. „სამურზაყანოელი აფხაზების“ საფუძველზე მოქალაქეობის მინიჭების პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს, ვინაიდან დე ფაქტო სტრუქტურების მხრიდან გვიანდება განაცხადების განხილვა და თვეში მხოლოდ 1 ან 2 განაცხადს განიხილავენ, 2020 წლის დეკემბრის მონაცემებით 890 ადამიანი იყო სიაში, რომლებმაც გაიარეს ყველა საჭირო პროცედურა და მიიღეს ცნობა მათი გვარის აფხაზური წარმოშობის შესახებ, თუმცა

⁴ OC Media, 2017, „ქართველები გალში: უცხოელები საკუთარ მიწაზე“ <https://oc-media.org/kartvelebi-galshi-utskhoelebi-sakutar-mitsaze/>

მოქალაქეობა ჯერაც არ მიუღიათ.

გალში გამართულ შეხვედრაზე კი დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ახალი წლიდან იგეგმება აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით. ამასთან, დე ფაქტო მთავრობის წევრებმა ასევე უკმაყოფილება გამოთქვეს გალის რაიონის სოფლების ქართველი გამგებლების მუშაობასთან დაკავშირებით და განაცხადეს, რომ შეიძლება ისინი ჩაანაცვლონ ეთნიკური აფხაზებით, რომლებიც უშუალოდ მივლინებული იქნებიან ამ სოფლებში.

ეთნიკური ქართველი მოსახლეობის აფხაზეთიდან შესაძლო გასახლების შესახებ

ამავდროულად, ეთნიკურად ქართულ მოსახლეობაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონებიდან ხდება იმათი მასობრივად გასახლება, ვინც უარს ამბობს აფხაზური პასპორტის აღებაზე. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ინფორმაციით, ეს ამბავი სიმართლეს არ შეესაბამება. თუმცა მისი გავრცელების წინაპირობა, სავარაუდოდ, დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ გალის რაიონში შემავალი სოფლები, რომლებშიც უმეტესად ქართული მოსახლეობა ცხოვრობს, ბოლო პერიოდში მიაკუთვნეს ტყვარჩელსა და ოჩამჩირეს. ამ ფაქტით ხელოვნურად ქმნიან შთაბეჭდილებას, თითქოს ოჩამჩირესა და ტყვარჩელში ნაწილობრივ დაბრუნდნენ დევნილები, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. გალის რაიონს ჩამოაჭრეს და ტყვარჩელსა და ოჩამჩირეს მიაკუთვნეს შემდეგი სოფლები: აჩიგვარა, გუდავა, ოხურეი, აგუ-ბედია, შეშელეთი, მუხური, კოხორა, პირველი გალი, ღუმურიში, ჩხორთოლი, წარჩე, ნახინგუ, რეფო-ეწერი, ოქუმი. ყველა ეს სოფელი გალის რაიონს ეკუთვნის საქართველოს ლეგიტიმურ რუკაზე, გალის რაიონის ძველ, ომამდელ, საზღვრებში. რეალურად კი ოჩამჩირესა და ტყვარჩელში ქართული მოსახლეობა პრაქტიკულად აღარ არის დარჩენილი.

ამ სოფლების მცხოვრებთა ინფორმაციით, ამ ეტაპზე მასობრივი გასახლება იმ მიზეზით, თუ მოსახლეობა უარს იტყვის ე.წ აფხაზური პასპორტის აღებაზე, არ ხდება. თუმცა, ამავდროულად, ადასტურებენ ხმებს 4 ოჯახის დევნის თაობაზე. ამ 4 ოჯახის დევნის მიზეზად კი დასახელებულია დე ფაქტო სტრუქტურების მიერ მოპოვებული ინფორმაცია აღნიშნული ოჯახების ცალკეული წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ სოხუმის დაცვაში 1993 წლის მარტსა და სექტემბერში. ამ მიზეზით დე ფაქტო ხელისუფლება წლების განმავლობაში ახორციელებს ქართულ მხარეს მებრძოლი ომის მონაწილეების ოჯახების გალის რაიონიდან „დეპორტაციისა“ და მათი სახლ-კარის კონფისკაციის პოლიტიკას.

აფხაზური დე ფაქტო უწყებების მიერ გალის მოსახლეობის გადაადგილების დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა

რამდენიმე წელიწადია, რაც მსჯელობა მიმდინარეობს გალის რაიონში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ე. წ. გადაადგილების დოკუმენტების საკითხზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერ კიდევ 2017 წლის აპრილში დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტრომ სხდომა მიუძღვნა გალის რაიონის მოსახლეობის პასპორტიზაციისა და ბინადრობის ნებართვების გაცემის საკითხს.

სხდომაზე პასპორტების დეპარტამენტის უფროსმა ედუარდ მანარგიამ განაცხადა, რომ მისი დეპარტამენტი მზადაა ბინადრობის ნებართვების გაცემისთვის იმ მსურველთათვის, რომლებიც შესაბამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს კი ეძლევათ რიგი უფლებები, გარდა პოლიტიკურისა. მაგალითად, „უცხო ქვეყნის მოქალაქეს“, რომელიც ფლობს ბინადრობის მოწმობას, შეუძლია გაყიდოს ან მემკვიდრეობით მიიღოს უძრავი ქონება, თუმცა უძრავი ქონების შესყიდვის უფლებით ვერ ისარგებლებს.⁵

დე ფაქტო აფხაზეთში მოქმედი წესების მიხედვით უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია ბინადრობის მოწმობის მიღება, თუ ის:

- დაქორწინებულია დე ფაქტო აფხაზეთის მოქალაქეზე და ლეგალურად იმყოფება დე ფაქტო რესპუბლიკაში 1 წელზე მეტ ხანს;
- უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არ მქონე პირია, რომელიც დაიბადა გალში და მუდმივად ცხოვრობს აფხაზეთის ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში (1999 წლის 12 ოქტომბრის შემდეგ თავის ოჯახთან, მეუღლესთან და არასრულწლოვან შვილებთან ერთად).

18 წელს გადაცილებულმა პირებმა კი შემდეგი დოკუმენტები უნდა წარადგინონ ბინადრობის მოწმობის მისაღებად:

- პირადობის მოწმობა, დაბადების მოწმობა ან მისი არქონის მიზეზების ახსნა-განმარტება;
- დროებითი ბინადრობის საშვი;
- ქორწინების მოწმობა, თუ ისინი ეთნიკურ აფხაზზე არიან დაქორწინებული;
- ცნობა აივ ინფექციის შესახებ.

⁵ „Нужная газета“, 2017, „Аслан Кобахия: За вами может прийти прокурор или СГБ“
ხელმისაწვდომია: <https://abh-n.ru/aslan-kobaxiya-za-vami-mozhet-prijti-prokuror-ili-sgb/>

ოფიციალური გადასახადი ბინადრობის ნებართვის მიღებისთვის არის 940 რუბლი [დაახლოებით 13 აშშ დოლარი], ხოლო აფხაზეთის მოქალაქის პასპორტისთვის 450 რუბლი [დაახლოებით 6 აშშ დოლარი].

გალის რაიონის იმდროინდელმა ხელმძღვანელმა, თემურ ნადარაიამ ასევე გაამახვილა ყურადღება იმ სტუდენტებზე, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ უნივერსიტეტებში სწავლობენ, და აღნიშნა, რომ, თუ 26 წლის ასაკის შესრულებამდე ამ პირებს ექნებათ სურვილი, რომ დაუბრუნდნენ თავიანთ რაიონს, არც მათ დატოვებენ აფხაზეთი დოკუმენტების გარეშე, თითოეული შემთხვევა კი განხილული იქნება ინდივიდუალურად.

დე ფაქტო მინისტრმა კი განაცხადა, რომ საქართველოს მოქალაქეებს აფხაზეთის მოქალაქეობას ვერ მისცემენ, თუ ისინი არ უარყოფენ საქართველოს მოქალაქეობას. ამ შემთხვევაშიც კი, პირებმა უნდა მიმართონ დე ფაქტო პრეზიდენტს, ვინაიდან მხოლოდ მას შეუძლია გადაწყვეტილების მიღება მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე.⁶

გალის მოსახლეობის დოკუმენტების თემა ასევე იყო ერთ-ერთი ხმაურიანი საკითხი 2020 წლის დეკემბერში გამართულ დე ფაქტო პარლამენტის სხდომაზე, სადაც განიხილავდნენ რაიონებისთვის გამოყოფილ წილს დე ფაქტო აფხაზეთის ბიუჯეტიდან. სხდომაზე მწვავე დისკუსია გაიმართა გალის რაიონის ბიუჯეტთან დაკავშირებით, კერძოდ, იმ გარემოების გამო, რომ გალის რაიონის 30,000-იანი მოსახლეობიდან მხოლოდ 1000 ადამიანი ფლობს აფხაზეთის მოქალაქეობას.⁷

ამ სხდომაზე წარმოდგენილი იყო ყველა რაიონის ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მათ შორის გალის რაიონისაც. დე ფაქტო პარლამენტის ბიუჯეტის, საკრედიტო ორგანიზაციების, გადასახადებისა და ფინანსების კომიტეტის თავმჯდომარემ, ნატალია სმირმა წამოაყენა გალის რაიონში მცხოვრები ადამიანების აფხაზეთის მოქალაქეობის საკითხი. მისი არგუმენტაციით, სუბსიდირება უნდა შემცირებოდა გალის რაიონს სწორედ იმ მიზეზით, რომ მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს აქვს აფხაზეთის მოქალაქეობა და საჯარო სექტორში დასაქმებულთა დიდი ნაწილი ხელფასებს იღებს როგორც საქართველოს ხელისუფლებისგან, ისე დე ფაქტო აფხაზეთის ბიუჯეტიდან, რაც, მისი აზრით, უთანასწორო პირობებში აყენებს აფხაზეთის სხვა რეგიონებს. აღსანიშნავია, რომ გალის რაიონში საჯარო სექტორში დასაქმებული პირების 70%-ს არ გააჩნია დე ფაქტო აფხაზეთის მოქალაქეობა. ამავდროულად, დოკუმენტების არმქონე პირების მხრიდან მატერიალური დახმარების თხოვნით დე ფაქტო ხელისუფლებისთვის მიმართვის შემთხვევებში ადგილობრივი ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს დახმარების გაცემას. შესაბამისად, მდგომარეობა

⁶ ibid

⁷ Эхо Кавказа, 2017, Гальскому району грозит урезание дотаций. ხელმისაწვდომია: <https://www.ekhokavkaza.com/a/31017724.html?fbclid=IwAR18dBcIHhGS3tsgrFHegWAt5jqA3-DHRziYW3LmYPrLq4cGkc7OIJemUiw>

რთულია, იმდენად, რამდენადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს არა აქვს წვდომა ადამიანის ძირითად უფლებებსა და საჭიროებებზე.⁸

საქართველოს სახალხო დამცველის ინფორმაცია გალის მოსახლეობის გადაადგილების დოკუმენტებთან დაკავშირებულ საკითხზე

გალის მოსახლეობის დოკუმენტებთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხო სახალხო დამცველიც ყოველწლიურ ანგარიშებში (2019, 2020)^{9,10}. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მოქალაქეობა ან დე ფაქტო ორგანოების მიერ გაცემული პასპორტები საქართველოს ან საერთაშორისო საზოგადოების მიერ არ არის აღიარებული და ისინი არც სამართლებრივ დოკუმენტებს წარმოადგენს, მათი ფლობა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის დაკავშირებულია ძირითადი უფლებებით სარგებლობასთან, მათ შორის გადაადგილების თავისუფლებასთან. ანგარიშში მოცემული ინფორმაციით, ენგურის ხიდზე არსებულ ე.წ. გამშვებ პუნქტზე გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი დოკუმენტებით:

- 1) ე.წ. ფორმა №9 (აღნიშნული ე.წ. ფორმა №9-ის მქონე პირები 2022 წლის 1-ელი იანვრიდან ვერ გადაკვეთენ ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარს);
- 2) დე ფაქტო (ახალი) პასპორტი 1295;
- 3) ე.წ. ბინადრობის მოწმობა;
- 4) 14 წლამდე პირებისთვის - დაბადების მოწმობა;
- 5) გადაადგილება ასევე დასაშვებია ქართული პასპორტით იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლის ნებართვა (ე.წ. ვიზა).

გალის რაიონის მოსახლეობაში, ე.წ. აფხაზური პასპორტის და ე.წ. ბინადრობის მოწმობის სრული რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ბუნდოვანია, თუმცა 2019 წლის საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით 13 400-ზე მეტმა გალის მცხოვრებმა გააკეთა განაცხადი ე.წ. „ბინადრობის მოწმობის“ მისაღებად. მათგან, 6000-მდე განაცხადი დაკმაყოფილდა. რაც შეეხება 2020 წელს, კონკრეტულად გალის მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, თუმცა მთლიანად აფხაზეთში გაკეთდა 27 230 განაცხადი და გაიცა 19 500-ზე მეტი ე.წ. ბინადრობის მოწმობა. რაც შეეხება დე ფაქტო

⁸ ibid

⁹ საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>

¹⁰ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>

პასპორტს, 2019 წელს გალში გაიცა 372 ე.წ. „აფხაზური პასპორტი“, 2020 წელს კი 700 ერთეულზე მეტი.¹¹

დოკუმენტების მიღებასთან დაკავშირებული კორუფცია

გაღებებისთვის დოკუმენტების აღებას ართულებს კორუფციული გარემოც. ადგილობრივების ინფორმაციით, საბუთების ჩასაბარებლად შენობაში შესვლაც კი რთულია, ვინაიდან გრძელ რიგებში უწყვეტ დგომა და თითოეულ ჩასაბარებელ საბუთზე კი 1.500 რუბლის {დაახლოებით 29 აშშ დოლარის} გადახდა უხდებათ; სხვა შემთხვევაში რიგში დგომა რამდენიმე კვირის განმავლობაში უწყვეტ. კიდევ დამატებით 2.000 რუბლს {დაახლოებით 34 აშშ დოლარი} იხდიან, როგორც ქრთამს, როცა საბუთები საბოლოოდ გამზადდება.

დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებიც საქმის კურსში არიან კორუფციის შესახებ. როდესაც 2017 წელს თემურ ნადარაიას ჰკითხეს კორუფციაზე, მან განაცხადა, რომ ხელისუფლებაში იციან ამ პრობლემის შესახებ და იმედი აქვთ, რომ მას მალე გადაჭრიან.¹²

შეჯამება

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ დე ფაქტო აფხაზური დოკუმენტების ფლობა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის რიგი უფლებებით სარგებლობასთან არის პირდაპირ დაკავშირებული. გალში მცხოვრებ ქართველებს ბინადრობის მოწმობა აძლევს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების, აფხაზეთში ცხოვრების, საკუთრების გაყიდვის ან მემკვიდრეობით გადაცემის და დანარჩენ საქართველოში გადაადგილების საშუალებას, თუმცა სრულად ართმევს პოლიტიკურ უფლებებსა და ქონების ყიდვის უფლებას, რის შესაძლებლობაც მხოლოდ აფხაზეთის „მოქალაქეობის“ მქონე პირებს აქვთ. ბინადრობის მოწმობის მიღება დაკავშირებულია რიგ ბარიერებთან, როგორცაა ბინადრობის მოწმობის მიღებისთვის დადგენილი მკაცრი კრიტერიუმები, 5-წლიანი ვადა და კორუფცია დოკუმენტის მიღებისთვის. გაღებებისათვის ეს დოკუმენტი ძირითადად მაინც გამყოფი ხაზის გასწვრივ გადაადგილების საშუალებას წარმოადგენს, შესაბამისად, ადგილობრივი მცხოვრებლები იძულებულნი არიან, აიღონ ბინადრობის მოწმობა.

¹¹ საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>

¹² OC Media, 2017, “ქართველები გალში: უცხოელები საკუთარ მიწაზე” <https://oc-media.org/kartvelebi-galshi-utskhoelebi-sakutar-mitsaze/>

გალის მოსახლეობის დოკუმენტების თემას გავლენა აქვს გალის რაიონისთვის დე ფაქტო აფხაზეთის ბიუჯეტიდან გამოყოფილ წილზეც. დე ფაქტო აფხაზეთის ცენტრალური ხელისუფლება მიიჩნევს, რომ გალის რაიონს სუბსიდირება უნდა შეუმცირდეს სწორედ იმ მიზეზით, რომ მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს აქვს აფხაზეთის მოქალაქეობა.

დე ფაქტო სტრუქტურების მხრიდან გალის მოსახლეობისთვის შექმნილი დაბრკოლებები ართულებს კონფლიქტის შედეგად ისედაც მოწყვლადი მოსახლეობის ყოველდღიურ არსებობას, რაც დისკრიმინაციულ მოპყრობად უნდა შეფასდეს.